სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N270603/2

ქ. თბილისი 16 ნოემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში _ „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესარიონ სიმონიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს "ჯი-თი მოტორს"** (შემდგომში "მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, თემურ უსტიაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონულ ტენდერში“ **(NAT200016286)** გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებას.

1.6. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საჭიროებისათვის 9(ცხრა) ერთეული III კლასის მსუბუქი ავტომანქანის სახელმწიფო შესყიდვა (CPV 34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები)

2.2. ავტომანქანების მოდელების დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს **281 902.50(ორას ოთხმოცდაერთი ათას ცხრაას ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2. ერთეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულებაა 31 322.50 (ოცდათერთმეტი ათას სამას ოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი

3.3. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც მისაწოდებელი „საქონლის“ ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. „საქონლის“ მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა, სააგენტოს ცენტრალური აპარატის შენობა.

4.2. „საქონლის“ მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე. მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლის ჩათვლით, მათ შორის განბაჟებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის (შემსყიდველზე გადაფორმებისა და სტანდარტული ფასის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ჩათვლით) ხარჯების ჩათვლით).

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში;
ბ) „მიმწოდებლისაგან“ „საქონლის“ მიღებისას შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულებისა“ და დანართის პირობებთან.
5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „საქონლის“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში.
5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
ა) მიაწოდოს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო „საქონელი“, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) „საქონლის“ მიწოდებასთან ერთად, „შემსყიდველს“ გადასცეს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;
გ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას მიწოდებული „საქონლის“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი საწარმოო დეფექტის, წუნის, „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით;
დ) „საქონლის“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ფასთა ცხრილში აღნიშნულ მაჩვენებლებს.
6.2. დაწვრილებით ინფორმაცია საგარანტიო პირობებთან დაკავშირებით მოცემულია დანართ N2-ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
6.3.საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია
7.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 40 (ორმოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის (სატრანსპორტო საშუალების) მიწოდების საბოლოო ვადას.
7.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, გამოიყენება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების ასანაზღაურებლად.
7.3. „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებლის“ მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
7.4. „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 დღის ვადაში.

მუხლი 8. ინსპექტირება
8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია ჩაატაროს ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
8.2. ინსპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **შოთა შენგელია.**
8.3 „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ ნასყიდობის საგნის მიწოდებამდე და მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებამდე აღმოჩნდება წუნდებული „საქონელი“, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი ან უზრუნველყოს ამ „საქონლის“ შეცვლა ახლით. ხოლო მიწოდების შემდგომ ნაკლის აღმოფხვრა განხორციელდება საგარანტიო პირობების შესაბამისად.

მუხლი 9. საქონლის მიღება-ჩაბარება

9.1. „საქონელი“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

9.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 9.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის 8.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

მუხლი 10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „საქართველოს **2020** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

10.2. ანგარიშწორება ხორციელდება სრულად, „საქონლის“ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12.2. „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „საქონლის“ მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი „საქონლის“ ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

12.3. „ხელშეკრულების“ დანართი N2-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით მიწოდებული დეტალის/მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ხოლო დანართი N2-ის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

12.4. „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის 8.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%-ის ოდენობით.

12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.6. „მიმწოდებელს“, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%–ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა
14.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 „ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე, გარდა მე-6 მუხლის 6.2. და მე-12 მუხლის 12.3. პუნქტებისა.
16..2. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2., 6.3. და მე-12 მუხლის 12.3. პუნქტები ძალაშია „საქონლის“ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 17. სხვა პირობები
17.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
17.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა, საიდ.კოდი: 200293324	შპს „ჯი-თი მოტორს“ ს. კოდი: 206276340 მის: ქ. თბილისის, დავით აღმაშენებლის ხეივნის #155 ბანკი: სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა.ა. GE89BG 0000 0002 4762 4300
ბესარიონ სიმონიშვილი დირექტორი	თემურ უსტიაშვილი დირექტორი

ვიზირებულია:

შ. არუთინიანი

შ.შენგელია

მ.კიკალეიშვილი

ს.ზაუტაშვილი

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY
Digitally signed by LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY
Date: 2020.11.16 10:08:50 +04'00'

JI-TI MOTORS LLC
Подписано цифровой подписью: JI-TI MOTORS LLC
Дата: 2020.11.16 10:40:03 +04'00'

დანართი N1

სატრანსპორტო საშუალება (მარკა, მოდელი, მოდიფიკაცია)	რაოდენობა (ცალი)	მწარმოებელი ქვეყანა	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ლარი)	ჯამი (ლარი)
Ford Fiesta Trend (ფორდ ფიესტა ტრენდი) (გამოშვების წელი 2019)	9	გერმანია	31322,50	281902,50
			ჯამი	281902,50

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	შპს „ჯი-თი მოტორს“
ბესარიონ სიმონიშვილი დირექტორი	თემურ უსტიაშვილი დირექტორი

დანართი N2

საგარანტიო ვადა:

1) 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა,ხიდი, გადაცემათაკოლოფი),

3 წელი ან 150000 კილომეტრ გარბენზე (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);

2)-საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომობილზე გამოვლენილი ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის (დაზიანებული დეტალის/აგრეგატის) ახლით შეცვლა განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით. (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რეალური ობიექტური გარემოების/აუცილებლობის დროს - ეს ვადა გაიზრდება გონივრული ვადით).
3) საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა. ამასთან, საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები/საცხებ-საპოხი მასალები უნდა იყოს მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი).
4) თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში, გეგმიური ფასიანი მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს თანმდევი მომსახურების დანართით წარმოდგენილ ცხრილში დაფიქსირებული ფასების შესაბამისად. მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ განახორციელოს დადგენილი ფლობის ფარგლებში იმ კომპონენტების შეცვლა ან/და მომსახურება, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული ფლობის ღირებულებაში. გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი). აღნიშნული პირობა არ გავრცელდება შემთხვევებზე, როცა: - დამატებითი/რიგგარეშე სერვისის მიწოდების აუცილებლობა გამოიწვია შემსყიდველის მიერ ავტომობილის ექსპლოატაციის წესების დარღვევამ, და/ან თუ საგარანტიო პეროდში დადგინდა შემსყიდველის მხრიდან საგარანტიო პირობების და/ან სავალდებულო თანმდევი მომსახურების პერიოდულობის ვადების დარღვევის ფაქტი";
5) თუ სატრანსპორტო საშუალების მიწოდებიდან 30 დღის ან 1 000 კმ. გარბენის შემთხვევაში (რომელიც უფრო ადრე დადგება) ავტომობილს აღმოაჩნდება საწარმოო დეფექტი ძირითად აგრეგატზე (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდი) მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალება შეცვალოს ახლით. (გარდა შემთხვევებისა, როცა დეფექტი განვითარდა შემსყიდველის მიერ ექსპლოატაციის წესების დარღვევით და/ან მისი სხვა ბრალეული ქმედების გამო და/ან თუ შემსყიდველის მიერ დაირღვა საგარანტიო პირობების და სავალდებულო თანმდევი მომსახურების პერიოდულობის ვადები და/ან თუ ავტომობილის არსებული მდგომარეობა ბევრად უარესია ვიდრე ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით და აშკარად არის შემცირებული მისი საბაზრო ღირებულება).

6) გარანტიის შენარჩუნების მიზნით შემსყიდველი ვალდებულია:

-ა) შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ავტომობილს და მის ნებისმიერ აღჭურვილობას ნებისმიერი სახის ტექნიკური მომსახურება ჩაუტაროს და ნებისმიერი სათადარიგო ნაწილები შეიძინოს მხოლოდ შ.პ.ს. "ჯი-თი მოტორს"-ის სერვის ცენტრებში; ეს სავალდებულო წესი ვრცელდება არამარტო ავტომობილის, არამედ შიდა აღჭურვილობის სერვისზეც, ასევე ნებისმიერ ტექმომსახურებაზე (მაგ: საბურავის სარქველზე ან მის სენსორზე გაწეულ მომსახურებაზე); სავალდებულო პერიოდული (თანმდევი საგარანტიო) ტექმომსახურება გაწეული იქნება მიმწოდებლის სერვის ცენტრებში: ქ. თბილისში დ.აღმაშენებლის ხეივნის №163-ში (საკონტაქტო პირი გიორგი წიქვაძე 597 182772); ბათუმში: სულხან საბა ორბელიანის №21-ში (საკონტაქტო პირი ალექსანდრე კალანდაძე 599 514 077); ქუთაისი ნიკეას ქუჩა №10/12; (ვასილ სალდაძე; 595 900 917) ავტომობილის ნებისმიერი სხვა სახის, მათ შორის საგარანტიო და/ან სამღებრო - სათუნუქე სერვისები ჩატარდება მხოლოდ თბილისის სერვის ცენტრში. ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუირების საჭიროების დადგომის შემთხვევაში, ავტომობილის ევაკუაციას სერვის ცენტრამდე განახორციელებს საგარანტიო სახის დაზიანების დროს – მიმწოდებელი, ყველა სხვა შემთხვევაში - შემსყიდველი თავისი ხარჯით. სერვის ცენტრები ფუნქციონირებს ყოველ დღე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, კვიღრა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;

-ბ) შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში დაიცვას კომპანიის სერვისში დადგენილი სავალდებულო პერიოდული მომსახურების პირობები და პერიოდულობა; ასევე, შემსყიდველმა უნდა განახორციელოს ზეთის სავალდებულო შეცვლა პირველ 10 000 კმ გარბენზე და შემდგომ ყოველ 10 000 კმ გარბენზე ან 12 თვეში ერთხელ, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება. გარბენებს შორის პერიოდში ზეთის დამატების საჭიროებაზე კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ზეთის დამატების ხარჯი შემსყიდველს ეკისრება;

- დ) შემსყიდველი ვალდებულია არ მოახდინოს გარბენის მრიცხველის ნებისმიერი მიზეზით გათიშვა ან ცვლილება, ასევე აკრძალულია ქარხნულად დალუქული დეტალების ლუქის მთლიანობის დარღვევა;
<u>ყველა ზემოთაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს გარანტია;</u>

- **6.1)** გარანტია არ ვრცელდება სათადარიგო ნაწილებზე, რომლებიც სწრაფცვეთადი დეტალების ნუსხას მიეკუთვნება, კერძოდ:
- ანტიფრიზზე; ფრეონზე, საბურავებზე, ელექტრონათურებზე, ელექტროდამცველებზე, შუშის საწმენდ ჯაგისებზე, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქუროზე, გადაცემათა კოლოფის მომჭიმ საკისარზე, გადაცემათა კოლოფის გადამულობის დისკსა და საყრდენ დისკებზე;
- სამუხრუჭე ხუნდებზე და დისკებზე; სტაბილიზატორის რეზინებზე;
- იმ სტრუქტურულ და სათადარიგო ნაწილების დაზიანებებზე, რომლებიც გამოწვეულია სწრაფცვეთადი დეტალების (მაგ : საყრდენი დისკის., ხუნდის და ა.შ) დროულად გამოუცვლელობით
- ანთების/გახურების სანთლებზე;
- გენერატორის და კონდიციონერის დვედებზე
- იმ დეტალების ცვეთაზე, რომლებიც შეიცავენ რეზინს, კაუჩუკს, პლასმასს;
- სხვა სწრაფცვეთად დეტალებზე;
- **6.2) გარანტია არ ვრცელდება შემდეგ სამუშაოებზე:**
- ძრავის რეგულირების კორექტირებასა და ძრავის დიაგნოსტირებაზე;
- დიაგნოსტირებასთან და სამუხრუჭე სტენდზე შემოწმებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე;
- საბურავებზე, საბურავის სარქველზე, წნევის სენსორსა და სავალი ნაწილის გეომეტრიის კორექტირებაზე (ე.წ. რაზვალ-სხოდზე);
- კარებების, კოპოტის, საბარგულის სახურავის, ლუქის სახურავის რეგულირებაზე; ფარების განათების რეგულირებაზე;
- **6.3) გარანტია არ ვრცელდება შემდეგი გარემოებებით გამოწვეულ დაზიანებებზე:**
- დაზიანებაზე, რომელიც არის გამოწვეული მძღოლის მიერ ავტომობილის უხეში და გაუფრთხილებელი მოხმარებით; ექსპლოატაციის წესების დარღვევით: როდესაც ავტომობილი ან მისი აღჭურვილობა გამოიყენება არასტანდარტული მიზნებისათვის; როდესაც დაზიანებულ და მასთან მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებულ ნაწილს აღენიშნება მექანიკური ან სხვაგვარი გარეგანი ზემოქმედების კვალი; ავტომობილის მწარმოებელის მიერ დადგენილი ზღვრული ტვირთამწეობის გადამეტებით გამოწვეულ დაზიანებებზე;
- ისეთი დეტალების ცვეთაზე, რომელიც შეიცავს რეზინს, კაუჩუკს, პლასმასს.
- იმ სტრუქტურულ და სათადარიგო ნაწილების დაზიანებებზე, რომლებიც გამოწვეულია სწრაფცვეთადი დეტალების (მაგ: საყრდენი დისკის; საწვავის ფილტრის, ხუნდის და ა.შ) დროულად გამოუცვლელობით;
- საავტომობილო შემთხვევებით, შეჯახებით, ხანძრით ან აფეთქებით, ყინვის ზემოქმედებით გამოიწვეულ სათადარიგო ნაწილის დაზიანებაზე;
- მანქანის როგორც ელექტრო ენერგიის სტაციონარულ წყაროდ გამოყენების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე;
- ავტომობილის საქარხნო ელექტრო და მექანიკურ კომპონენტებში ცვლილებების შეტანის გამო გამოწვეულ დაზიანებაზე;
- თვითნებურად დამონტაჟებული ნაწილებზე, რომლებიც მწარმოებლის მიერ არ არის დამონტაჟებული, მაგალითად, ბოჭკოვან ტელეფონებზე, სიგნალიზაციებსა, ავტომატური ჩართვის სისტემებზე და სხვა;
- წყალში ღრმად ტარების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე; თუ ე.წ. ფარსუნკებზე ნაპოვნია წყლის კვალი ან დაზიანება გამოწვეულია უხარისხო საწვავის მოხმარებით;
- გარანტია არ ვრცელდება და შესაძლებელია ავტომობილი მთლიანად მოიხსნას გარანტიიდან თუ ავტომობილი თვითნებურად გადაკეთებულია, დამატებულია ან შეცვლილია რაიმე ელემენტი, თუ დარღვეულია ავტომობილის და/ან მისი შიდა აღჭურვილობის ქარხნულად დალუქული დეტალების მთლიანობა;
- მწარმოებლის სტანდარტებთან შეუსაბამო საწვავის, ზეთების, გამაგრილებელი, სამუხრუჭე, ჰიდრავლიკის და სხვა სითხეების გამოყენების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე;
- ბუნებრივი ცვეთით გამოწვეულ დაზიანებებზე; აკუმულატორებზე გარანტია ვრცელდება 6 თვის ვადით ან 20 000 კმ გარბენზე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	შპს „ჯი-თი მოტორს“
ბესარიონ სიმონიშვილი დირექტორი	თემურ უსტიაშვილი დირექტორი

III კლასის მსუბუქი ავტომობილი		შეთავაზება
ცხენის ძალა არანაკლებ	75	85
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი	მექანიკური, 5 საფეხური წინ
სიგრძე არანაკლებ	3840	4040
სიგანე არანაკლებ	1695	1941
სიმაღლე არანაკლებ	1450	1476
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
„უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი“.	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი (იხილეთ ლინკი ოფიციალურ ვებგვერდზე) https://www.euroncap.com/en/results/ford/fiesta/27708
ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი	წინა 2
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში	მძღოლის და წინა მგზავრის უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი	კონდინციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა	აუდიონ სისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	ნებისმიერი ფერი გარდა შავისა	თეთრი

საქონლის ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებულია მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც
უნდა აკმაყოფილებდეს შემოთავაზებული საქონელი. პრეტენდენტს შეუძლია გაუმჯობესუბელი მახასიათებლების მქონე საქონლის
შემოთავაზება.

JI-TI
MOTORS LLC

Подписано цифровой подписью: JI-TI MOTORS LLC
Дата: 2020.11.02 13:49:02 +04'00'